- CM/Rec(2020)3 რეკომენდაციის დანართი 2

**საინფორმაციო დოკუმენტი მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის თაობაზე**

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (1983, ETS No. 112), კონკრეტული წინაპირობების არსებობისას, შესაძლებლობას აძლევს, სასჯელის დარჩენილი ნაწილი მოიხადონ მოქალაქეობის სახელმწიფოში იმ პირებს, რომლებსაც უცხო სახელმწიფოში განესაზღვრათ საპატიმრო სასჯელი. ზემოაღნიშნული წინაპირობები ქვემოთ არის მოკლედ მიმოხილული.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს კონვენციის ამომწურავ აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ გსურთ, გაეცნოთ სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე გადაყვანის შესაძლებლობებს, დეტალური ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რათა, მაგალითისთვის, მოგაწოდონ კონვენციის ასლი და ორივე სახელმწიფომ განიხილოს თქვენი გადაცემის შესაძლებლობა. ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენელს.

***რა შემთხვევაში გამოიყენება კონვენცია?***

როდესაც თქვენი მოქალაქეობის სახელმწიფო და ის სახელმწიფო რომელშიც განგესაზღვრათ საპატიმრო სასჯელი, არიან კონვენციის წევრი სახელმწიფოები (კონვენციის წევრ სახელმწიფოთა შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ).

თუმცა, თუ ორივე სახელმწიფო არის ევროკავშირის წევრი, გადაცემის პროცედურა რეგულირდება ევროკავშირის საბჭოს მიერ 2008 წლის 27 ნოემბერს, ევროკავშირის ტერიტორიაზე საპატიმრო სასჯელის ან სხვა თავისუფლების აღმკვეთი ზომის განმსაზღვრელი სისხლის სამართლის გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით განაჩენთა ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოყენების თაობაზე, მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილებით 2008/909/JHA. ევროკავშირში მოქმედი პროცედურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ან თქვენი წარმოშობის სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს.

***ვისი თანხმობა არის საჭირო გადაცემისთვის?***

გადაცემისთვის საჭიროა ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მხარის თანხმობა:

ა) მსჯავრდებული პირის, ან საჭიროების შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენლის;

ბ) იმ სახელმწიფოს, რომელშიც მსჯავრდებულია პირი; და

გ) იმ სახელმწიფოს, რომელშიც არის გადაცემა მოთხოვნილი.

*ვის შეუძლია ისარგებლოს საქართველოსთვის გადაცემის შესაძლებლობით?*

ქვემოთ მოცემული წინაპირობების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლოა, გადაეცეთ საქართველოს:

ა) თუ თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქე;

ბ) თუ განაჩენი, რომლითაც განგესაზღვრათ საპატიმრო სასჯელი, არის საბოლოო;

გ) როგორც წესი, სასჯელის მოსახდელად უნდა გქონდეთ დარჩენილი სულ მცირე ექვსი თვე, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში ეს ვადა შესაძლოა იყოს ნაკლები; და

ე) დანაშაული, რომლისთვისაც გასამართლდით, ასევე წარმოადგენს დანაშაულს საქართველოს კანონმდებლობით.

*რა სახის სასჯელის მოხდა არის საჭირო გადაცემის შემდეგ?*

მსჯავრდებულის გადაცემამდე, განსჯადობის მიხედვით საქართველოს შესაბამისი პირველი ინსტანციის სასამართლო ახდენს განაჩენით განსაზღვრული სასჯელის საქართველოს ტერიტორიაზე იმავე დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრულ სასჯელთან შესაბამისობაში მოყვანას. შესაბამისი სასამართლო შეზღუდულია იმ ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არის მოცემული სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებულ განაჩენში. კონვენციის თანახმად, კონვერტირებული სასჯელი არ შეიძლება იყოს ძირითად სასჯელზე მკაცრი ან ხანგრძლივი, არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური სასჯელის შესაბამისი, და უნდა მოიცავდეს გადაცემამდე პატიმრობაში გატარებულ მთელ პერიოდს.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი გადაცემის შემდგომ, თქვენს მიმართ სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი გათავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაცვლად გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნულმა შესაძლოა, გავლენა იქონიოს ვადებზე თუ როდის შეიძლება გამოყენებულ იქნას თქვენ მიმართ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების ან სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები. თქვენი გადაცემის შემთხვევაში, თქვენთვის განსაზღვრული სასჯელი აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად.

*სისხლის სამართლებრივი დევნა სხვა დანაშაულისთვის*

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი გადაცემის შემდგომ საქართველოს კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან, თქვენ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა

განახორციელონ, განგისაზღვრონ სასჯელი ან დაგაკავონ სხვა, იმ დანაშაულისგან განსხვავებული დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იხდით სასჯელს.

*შეწყალება, ამნისტია, სასჯელის შემცირება*

თქვენი გადაცემა არ გამორიცხავს, რომ თქვენზე გავრცელდეს, სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს ან საქართველოს მიერ გატარებული, ნებისმიერი სახის შეწყალების, ამნისტიის ან სასჯელის შემცირების ღონისძიება.

*ძირითადი განაჩენის გადახედვა*

თუ თქვენი გადაცემის შემდგომ გამოიკვეთება გარემოება, რომელიც მიგაჩნიათ, რომ არის სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს მიერ განაჩენის გადახედვის საფუძველი, ამ სახის განაჩენის გადახედვასთან დაკავშირებულ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოს.

*განაჩენის აღსრულების შეწყვეტა*

თუ, ნებისმიერი მიზეზით, თქვენთვის განსაზღვრული სასჯელის აღსრულება შეწყდება სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოში, საქართველოს კომპეტენტური ორგანოები აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გაგათავისუფლებენ. ზემოაღნიშნულის მსგავსად, თუ სასჯელის აღსრულება შეწყდება საქართველოში, თქვენ არ მოგიწევთ ძირითადი სასჯელის მოხდა სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოში დაბრუნების შემთხვევაში.

*ინფორმაცია პროცედურის თაობაზე*

გადაცემის შესახებ თქვენი მიმართვა უნდა წარუდგინოთ სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოს ან საქართველოს.

თუ სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები მზად არიან, განიხილონ თქვენი გადაცემის საკითხი, ისინი ქართულ მხარეს მიაწვდიან ინფორმაციას თქვენს შესახებ, თქვენს მსჯავრდებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ინფორმაციას სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოები მზად არიან, განიხილონ თქვენი გადაცემის საკითხი, ისინი სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოს მიაწვდიან ინფორმაციას სასჯელის სახისა და ხანგრძლივობის თაობაზე, რომელსაც მოიხდით გადაცემის შემთხვევაში, ასევე ინფორმაციას საქართველოში სასჯელის შემცირების, პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და სხვა შესაძლებლობების თაობაზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი გადაცემის პროცედურების მსვლელობისას ქართულ მხარეს შესაძლოა, გადაეცეს თქვენი დახასიათება და სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მასალები.

- CM/Rec(2020)3 რეკომენდაციის დანართი 3

**საინფორმაციო დოკუმენტი კონვენციის შესწორებულ დამატებით ოქმთან დაკავშირებით**

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის მსგავსად, დამატებითი ოქმი (1979, ETS No. 167) და მისი შემსწორებელი ოქმი, მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაციის მიზნებისთვის, შესაძლებლობას აძლევს უცხო სახელმწიფოში თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებს, სასჯელი მოიხადონ წარმოშობის სახელმწიფოში. იმის მიუხედავად, რომ კონვენციის დებულებების უდიდესი ნაწილი მოქმედებს დამატებით ოქმთან მიმართებით, ეს უკანასკნელი გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევებში და მოიცავს გარკვეულ პროცედურულ თავისებურებებს. აღნიშნული კონკრეტული შემთხვევების შესახებ მოკლე ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს დამატებითი ოქმის დეტალურ აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ გსურთ დეტალური ინფორმაციის მიღება, უნდა მიმართოთ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომ მაგალითისთვის, უზრუნველყონ თქვენთვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ასლების მოწოდება, ვინაიდან მათი ერთიანობაში წაკითხვა არის მნიშვნელოვანი. ინფორმაციის მისაღებად შესაძლოა, ასევე, მიმართოთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენელს.

***რა შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ოქმი?***

**ა.** როდესაც სასჯელის განმსაზღვრელი და თქვენი მოქალაქეობის სახელმწიფო, ორივე არიან დამატებითი ოქმის წევრი მხარეები. დამატებითი ოქმის წევრ სახელმწიფოთა შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კონვენციის წევრი ყველა სახელმწიფო არ არის დამატებითი ოქმის წევრი.

ამასთან, თუ ორივე სახელმწიფო არის ევროკავშირის წევრი, გადაცემის პროცედურა რეგულირდება ევროკავშირის საბჭოს მიერ 2008 წლის 27 ნოემბერს, ევროკავშირის ტერიტორიაზე საპატიმრო სასჯელის ან სხვა თავისუფლების აღმკვეთი ზომის განმსაზღვრელი სისხლის სამართლის გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით განაჩენთა ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოყენების თაობაზე, მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილებით 2008/909/JHA. ევროკავშირში მოქმედი პროცედურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ან თქვენი წარმოშობის სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს.

**ბ.** როდესაც თქვენ იმყოფებით <u>ერთ-ერთ</u> ქვემოთ მოცემულ სიტუაციაში:

*i.* *როდესაც თქვენ დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს ტერიტორიიდან გამოიქეცით ან დაბრუნდით წარმოშობის სახელმწიფოში, საპატიმრო სასჯელის სრულიად ან ნაწილობრივ მოუხდელად;*

*ii.* *საპატიმრო სასჯელთან ერთად მიღებული გაძევების ან დეპორტაციის ბრძანებით თქვენ სასჯელის მოხდისთანავე უნდა დატოვოთ სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს ტერიტორია.*

***რა განსხვავებაა კონვენციითა და დამატებითი ოქმით განსაზღვრულ გადაცემის პროცედურებში?***

პირველ შემთხვევაში, როდესაც თქვენ გაიქეცით ან დაბრუნდით თქვენი მოქალაქეობის სახელმწიფოში საპატიმრო სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხდელად, სასჯელის განმსაზღვრელმა სახელმწიფომ შესაძლოა, სთხოვოს ქართულ მხარეს აღასრულოს თქვენთვის განსაზღვრული სასჯელი ან მისი მოუხდელი ნაწილი. აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა უარყოფილ იქნას, ამასთან, შეთანხმების მიღწევამდე ქართულმა მხარემ შესაძლოა დროებით დაგაკავოთ. თუმცა, დროებითმა დაკავებამ, სასჯელის აღსრულების ასპექტში, არ უნდა გააუარესოს თქვენი მდგომარეობა. რადგან თქვენ უკვე იმყოფებით თქვენი მოქალაქეობის სახელმწიფოში, გადაცემის საკითხზე თქვენი თანხმობის ან მოსაზრების მიღება არ არის აუცილებელი.

მეორე შემთხვევაში, როდესაც საპატიმრო სასჯელთან ერთად თქვენ მიიღეთ გაძევების ან დეპორტაციის ბრძანება, სასჯელის განმსაზღვრელმა სახელმწიფომ შესაძლოა ქართულ მხარეს მიმართოს თქვენი გადაცემის მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ თქვენ აღარ გექნებათ სასჯელის განმსაზღვრელ სახელმწიფოში დარჩენის უფლება, გადაცემის საკითხზე თქვენი თანხმობა არ არის აუცილებელი. თუმცა, ქართული მხარე მიღებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას, თქვენი პოზიციის გათვალისწინების გარეშე, არ მიიღებს. ამ მიზნით, სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფო დააზუსტებს თქვენს პოზიციას გადაცემის თაობაზე და შესაბამისად მიაწვდის ქართულ მხარეს.

როდესაც გადაცემა თანხმდება ზემოაღნიშნული მდგომარეობის შესაბამისად, სასჯელის განმსაზღვრელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე თქვენ მიმართ ვერ განხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა ან მსჯავრდება გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენ სასჯელის მოხდის შემდგომ თქვენი ნებით დაბრუნდით ან დარჩით საქართველოს ტერიტორიაზე.

კონვენციის დებულებები გამოიყენება ყველა დანარჩენ ასპექტზე გადაცემის პროცედურასა და საქართველოს მიერ სასჯელის აღსრულების პირობებზე.